გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ბუნების კარი

დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ მეშვიდე გამოცემა, გადმობეჭდილი უცვლელად მეხუთე გამოცემიდგან, რომელიც სახელ-გაკეთებულია (рекомендовано) განათლების მინისტრისაგან როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიებისათვის“, და აგრეთვე უწმიდესის სინოდის მიერ. ფასი მკვიდრი და ლამაზი ყდით ოთხაბაზუზალთუნი (90 კაპ.), უყდოდ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცს ცალსა—თხუთმეტ შაურადდავინც ოც-და-ათს ცალსა—თოთხმეტ შაურად.

სხვა ქალაქებიდგან წიგნი უნდა დაიბარონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности, Банковскій Караванъ-Сарай, № 125 и 126.

ყოველ დღე მიიღება „ივერიის“ რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ხოლერით ავადმყოფები აღარ არიან.

სამხედრო საავადმყოფოში დილით 21 აგვისტოს იყო ავად 5; ამ დღეს ავად არავინ გამხდარა.

21 აგვისტოს გახდა ავად ხოლერით მარიამ ირგიზოვისა (2 ნაწილ. გრიბოედოვის ქუჩა, სახლი ამანოვისა).

დუშეთის მაზრის უფროსი იუწყება 19 აგვისტოს: დიდებაანთკარში გამხდარი ავად ხოლერით მორჩა; სხვა აღარავინ გამხდარა ავად ამ სოფელში.

გორის მაზრის უფროსი იუწყება: ქ. გორში 18 აგვისტოს აღარავინ გამხდარა ავად; მორჩა 1; ავად ხოლერით სულ ხუთია; ბორჯომში 15 და 16 აგვისტოს გარდ 2; დარჩა 2; სოფ. აბისში გარდ. 1; სურამში გახდა ავად 1, გარდ. 1; სოფ. მჭედლიანთკარში გახდა ავად 6, გარდ 3, მორჩა 3; ავად აღარავინაა; ახრისში გარდ. 1; ავად აღარავინაა; სოფ. ზერტში ავად გახდა 2; სოფ. დიდმეჯვრისხევში გარდ. 1; ავად აღარავინაა. სოფ. სამთავისში გახდა ავად 2; სოფ. კარალეთში გარდ. 1; სოფ. ახალუბანში გარდ. 1.

19 აგვისტოს ახალციის მაზრის უფროსი იუწყება: 18 აგვისტოს იყო ხოლერით ავადმყოფი 15, გახდა ავად 5, მორჩა 2, გარდ. 3, დარჩა 15.

სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება 20 აგვისტოს: გარდაიცვალა 18 აგვისტოს ნიკო ბერიაშვილი. სიღნაღის მიდამოში გახდა ავად გიგია ქურდაშვილი, რომელიც ჩამოვიდა ზემო მაჩხანელთა კალოებიდგან.

## ახალი ამბავი

*** მკითხველებს ეხსომებათ, 20 აგვისტოს სანიტართა კრებაზედ, ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძის რჩევით, ამორჩეულ იქმნა მეცნიერთა და გამოცდილ კაცთა კომისია, რომელმაც უნდა დაწვრილებით შეისწავლოს ტფილისის მდებარეობა, მისი ნიადაგი, გამოიძიოს მსვლელობა წრევანდელ ხოლერისა ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილში და შეადგინოს გეგმა იმ ღონისძიებათა, რომელნიც შეაძლებინებენ ჩვენს თვითმმართველობას, რომ საფუძვლიანად გასწმინდოს ტფილისი და საკვლავიოდ უფრო სათანადოდ იქმნას მომზადებული სხვა-და-სხვა ჭირიანობასთან ბრძოლისთვის. ეხლა ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქალაქის მოურავმა 24 აგვისტოსთვის დანიშნა პირველი კრება ამ ყოვლად საჭირო კომისიისა, რომელიც უეჭველია მაგალითად უნდა გამოიყენონ არა მარტო კავკასიის ქალაქებმა, არამედ რუსეთისებმაც.

*** დღემდე ქალაქს არა ჰქონდა სადეზინფექციო სახლი, სადაც შესაძლო ყოფილიყო ჭირიანთა საცმელები, ქვეშაგები და ავეჯი წაეღოთ და უშიშარ ექმნათ. ამ დღეებში ქალაქის გამგეობა პირობით შეეკრა წარმომადგენელს პეტერბურგის ლითონთა ქარხანისას ბ-ნს ნ. ი. კარაპეტოვს, რომ უკანასკნელმა სამის თთვის ვადით, ე. ი- 20 ნოემბრისთვის, დაამზადებინოს პეტერბურგში შესაფერი სადეზინფექციო შენობა, თავისის ორთქლის ქვაბით და ყოველისავე მოწყობილობით. ბ-ნი კარაპეტოვი დასთანხმდა ყოველივე საჭირო იარაღი მოამზადოს ხსენებულს ვადაზედ 1855 მანეთად, ხოლო ჩამოტანის ქირა უნდა გაიღოს გამგეობამ. ამ სახით, ჩვენს ქალაქს ზამთრისთვის, როდესაც სხვა-და-სხვა ჭირიანობა იცის ჩვენში, ექნება სადეზინფექციო სახლი და ხალხი აღარ იქნება იძულებული დასწვას თავისი ავეჯი.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 18 აგვისტოს ბაქოში ავად არავინ გამხდარა არც არავინ გარდაცვლილა, ავად არის 6, სამხედრო საავადმყოფოში ავად არის 10, მთელს გუბერნიაში, გარდა ორის მაზრისა, საიდგანაც ამბავი არ მოგვსვლია, ავად გახდა 24, გადრ. 18, ავად არის 14.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 18 აგვისტოს მთელს გუბერნიაში ავად გახდა 26, მორჩა 23, გარდ. 18, ავარ არის 74.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: ერევანში 16—17 აგვისტოს ავად გახდა 24, გარდ. 16, მორჩა 32, ავად არის 89; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 154, გარდ. 116, მორჩა 71, ავად არის 737.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 18 აგვისტოს ქუთაისში ავად გახდა 2, გარდ. 2, მორჩა 2, ავად არის 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 7, ავად არის 23.

ყარსის გუბერნატორი იუწყება: ყარსში ავად გახდა 32, მორჩა 7, გარდ. 10, ავად არის 90; შურაგელის მაზრაში ავად გახდა სამ დღეში 44, მორჩა 33, გარდ. 32, ავად არის 40.

სტავროპოლის გუბერნატორი იუწყება: სტავრო,ოლში ავად გახდა 1, გარდ. 1; მთელს გუბეუნიაში ავად გახდა 459, გარდ. 134, მორჩა 190.

ზაქათალის ოლქში ავად გახდა 18, მორჩა 10, გარდ. 18, ავად არის 67.

*** ჩვენს მკითხველებს უკვე ვაუწყეთ, რომ სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ გადასდო 5,000 მანათი ხოლერასთან საბრძოლველადაო და ამ ფულიდგან 4,000 მან. სხვა-და-სხვა ქალაქს გაუნაწილეს, დანარჩენი 1000 მან. გაგზავნეს არმავირში, სადაც ხოლერა ძლიერ მძვინვარებდა, მაგრამ არმავირის მცხოვრებთ ის 1,000 მ. ისევ უკან დაუბრუნეს ამ საზოგადოებას, ჩვენ ფული არ გვიჭირს და ისევ მანდ სხვა-და-სხვა სოფელს დაახარჯეთო. საზოგადოების მმართველობამ, სახეში იქონია რა ის გარემოება, რომ ერევანსა და იმის მაზრაში ხოლერა განსაკუთრებით არის გავრცელებული, ეს 1,000 მ. და 500 მ. კიდევ სხვა გადასდო გარდა ზემოხსენებულ ადგილების დასახმარებლად. განზრახვა აქვთ ერთი ექიმი და ერთი ფერშალი დაიქირავონ და ერევანსა და მის მაზრაში გაგზავნონ თავის ხარჯით. ამ საქმისათვის საზოგადოებას სურს მიიწვიოს სასანიტარო ექიმი ბ-ნი გონიევი, თუ ქალაქის მოურავმა ნება დართო და შესაძლებელად სცნა მისი აწინდელ მოვალეობიდგან განთავისუფლება.

*** „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ ბათუმში 28 ივნისს გამართულის ლატარია-ალეგ-

## ფელეტონი

### გამხნევდით

სიტყვა რამ გასამხნევები
ვსთქვათ და ვევედრნეთ ზენასა,
რომ მადლი მაკურნებელი
ეგებ მიმიცას ენასა
და მოუვლინოს მშვიდობა
ყმაწვილთ და მოხუცთ—ყველასა.

ვკადნიერდები და ვითხოვ
უფლისგან აღმაფრენითა:
ერთხელ ჩვენს ლოცვას უსმინოს,
რომ მუდამ დაღონებითა
არ ვიყვნეთ მისნი მოსავნი,
ერთხელ ჩვენც გვნახონ ლხენითა!

ჯერ ცოტანი ვართ, ქვეყნის ზღვა
ჩაყლაპვას გვეღამუნება,
ახლა ამ სენით რომ გავწყდეთ,
გულს რაღა ესალმუნება?
ვითომ-კი უსამართლობას
ვერ ითმენს მისი ბუნება!

მაშ ამომწყვეტი მახვილი
რად მოუღერა ჩემს ერსა,
რაღა ტირილი სჭირია
ისეც დღე მუდამ მკვნესელსა?!

ჰო, რომ ვიბრძოდეთ და მამულს
იმითი ვედგეთ ფარადა,
წყეული ვიყო, რომ კიდეც
ამკუწონ ფარა-ფარადა,
თუ შევდრკე, როცა მხსნელების
სისხლი იქცევა ღვარადა!..

ძმებო და დებო, რომლებსაც
დღეს ჭირი მოგერგინებათ,
იმედი მამხნევებელი
ღვთისგანამც მოგევლინებათ.
ნუ შეშინდებით, შიშითა
ჭირი არ აგეცილებათ!

ბევრიც ვეხვეწო ხმელს და ცას,
ეგები სადმე დამმალოს,
სად გავექცევი სიკვდილსა,
რა მეშველება საბრალოს!
მაშ რაღას უნდა გავექცე,
ან შევუშინდე მე რასა;
ათასი თავი ვაძვრინო,
მაინც გავხდები ვერასა...
ერთხელ სჯობია სიკვდილი
მუდამ სიკვდილის ცქერასა.

სანამ ვართ, უნდა-კი ვიყვნეთ
ტვირთის სახელით მზიდველი
და როცა წუთი-სოფელმა
წამოგვიდრიკოს კისერი,
ჩვენი ნაჭერი ადგილი
დარჩება ისევ ტიტველი
და ჩვენს შემდეგაც მრავალი
გამოუჩნდება მყიდველი.

თუ არ ვასრულებ, რაც ცითა
კისრად მადვია მე ვალი,
როგორ ვსთქვა მაშინ, არა მჯობს
ურცხვი, უკდემო მხევალი!

და როცა დაჰვიწყებია
კაცს თავის მოვალეობა,
აქ იბადება სიმშურე
და ბილწი პირმოთნეობა,
ერის დაღუპვის ნიშანი—
გაფუჭებული ზნეობა.

გამხნევდით, წმინდა გულითა
ლოცვა ვსთქვათ ჰანგებ-მაღალი,
საერთო უბედურების
ვითხოვოთ ღვთისგან წამალი!

ვიცი, არც ღმერთი უარ გვყოფს,
შეესმის ჩვენი ვედრება
და მოწყალებად გადმოვა
ცად აღწეული ყვედრება!..

თ. რაზიკაშვილი

24 ივლისი

### დღიური ბიძია თომასი

ივლისი

#### VII

„სჯობს სიცოცხლეს სახელოვანსა სიკვდილი საზრახიანი“.

თანამედროვე სიმღერა

გამოზაფხული იყო; მე ცოტა უგემურად შევიქენ; სიცხე მქონდა და მამტვრევდა; ავადმყოფობის დროს ადამიანის ფიქრი აქეთ-იქით დაფრინავს, ოცნება უხელდება; სხვისა არ ვიცი და ჩემზედ-კი ასე ჰმოქმედობს სიცხე ავადმყოფობის დროს. იმ გამოზაფხულზედ, რომელიც აგერ ეხლა დავასახელე, ოცნებამ გამიტაცა, ჩემი ფიქრები პეპელასავით დაფარფატებდნენ ცის სივრცეში და თავს დასტრიალებდნენ ჩვენს აწინდელს ყოფა-ცხოვრებას, ჩვენს უნუგეშო მდგომარეობას. რანი ვართ, რას მოველით, ანუ რა მოგველის, რანი ვყოფილვართ წარსულში, რად გარდავქმნილვართ აწმყოში? ეს საზარელი საკითხავები გულს მიწუხებდნენ, ძარღვებში სისხლის დენა თითქო შემიდგა, პირში ნერწყვი გამიშრა. ღმერთო მაღალო! რა ნაირად დავწვრილმანდით! დაწვრილმანებაც დაწვრილმანებასა ჰქვიან—მარტო სულით დაწვრილმანება არ გვაკმარა ღმერთმა, სხეულითაც დაგვაწვრილმანა. ამისი წარმოდგენა ვის არ გაუშრობს პირში ნერწყვს! ვის არ შეუჩერებს ძარღვებში სისხლს!!.

ეს ჩვენი აწინდელი ყოფა-ცხოვრება ჩვენს პოეტებსაც სხვა-და-სხვა ნაირად ამღერებს: ერთი გაბედვით

რითგან შემოვიდა 733 მ. 83 კაპ. წმინდა შემოსავალი, ვრცელი ანგარიში გამოცხადებული იქნება ამ ცოტა ხანში, როდესაც გამგეობის წევრნი თავს მოიყრიან ტფილისში.

*** ტფილისის მე-2 კლასიკურ გიმნაზიის დირექტორი აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები ამ გიმნაზიის მოსამზადებელსა და პირველს კლასში შესასვლელად დაიწყება 15 და 16 სექტემბერს, ხოლო სხვა კლასებში შესასვლელად-კი 15-სავე დაიწყება და 18 სექტემბრამდე გასტანს. 19 სექტემბერს, შაბათს, დილის 9 საათზედ, პარაკლისი იქმნება გარდახდილი და სწავლა დაიწყება კიდევაც.

*** განზრახვა აქვთ სავალდებულოდ გაჰხადონ, რომ ყველა რკინის გზაზედ მეოთხე კლასის ვაგონები იქონიონ მდაბიო ხალხის სატარებლად. ამ ვაგონებით მოსიარულეთ თითო ვერსზედ $^{3}/_{4}$ კაპეიკს გადაახდევინებენ.

*** ჩვენს გაზეთში უკვე დაბეჭდილი იყო დეპეშა იმის შესახებ, რომ მომზადებულიაო ახალის სახის ოც-და-ხუთ მანეთიანები. ეხლა რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ ოც-და-ხუთ მანეთიანებზედ ფულის დახურდავება შეიძლება ს.-პეტერბურგის სახელმწიფო ბანკში ოც აგვისტოდგან, ხოლო იმის კანტორებში: ტფილისსა, არხანგელსკსა, ვარშავასა, ეკატერინენბურგსა, კიევსა, მოსკოვსა, ოდესასა, რიგასა, დონსა როსტოვსა და ხარკოვში ამა 1892 წლის 1 სექტემბრიდგანაო.

*** სოფ. ფცა (ფრონის ხეობა): ფაფით დაშინებული დოს უბარავდაო, სწორედ ასე მოსდით ჩვენს განათლებულს ფცის მებატონეებს. სასანიტარო ღონისძიებათა მიღება, კარბოლის სიმჟავით პკურება გამვლელისა და გამომვლელისა, რომ სოფელი გადარჩეს ხოლერას, ყველა ეს ძალიან კარგია, რაღა თქმა უნდა, მაგრამ არც დამლაშება საჭირო. სოფელ ფცაზედ შარა-გზა გადის, სოფლის მოშორებით კიდევ მეორე გზაა და აი ხოლერის შიშის გამო ორივე გზა შეჰკრეს, დააყენეს დარაჯები და აღარავის უშვებენ არც ზემოდ ხეობაში და არც ქვემოდ, გომისა და ქარელისაკენ. ასეთის განკარგულებით ხალხი მეტად შეწუხდება, რადგან შეშა და ხის მასალა საამირიჯიბო და საფალავანდიშვილო ტყეებიდგან გააქვთ. კარანტინს არ სად ხოლერა არ გაუჩერებია და „ფციური“ კარანტინი ხომ ხოლერას წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, მხოლოდ ტყუილად შეავიწროებს ხალხსა.

ხოლერასთან საბრძოლველად, დიდი ხანია მეცნიერებამ სულ სხვა ღონე აღიარა. აი ჩვენი განათლებული მებატონენი რომ სოფელში დატრიალდნენ, გააწმენდინონ და გაასუფთავებინონ, საკმარისი წამლები იქონიონ და გაჭირვებულს დაეხმარნენ, მაშინ სულ სხვა იქნება, ამისათვის ხალხი დიდს მადლობას გადუხდის და არ დაივიწყებს მათს სამსახურს.

ჯერ-ჯერობით-კი, ღვთის მადლით, ჩვენს ხეობას ხოლერა არა სწვევია. როგორც ისმის ხოლერა ქართლში განელდა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არც კვლავ გვეწვევა.

*** სოფ. საღოლაშენი: წარსულ კვირას, 16 აგვისტოს, აქ, თ. სარდიონ ამირეჯიბის სახლში მათ მიერვე გამართულ მუდმივ სცენაზედ საყმაწვილო წარმოდგენა იყო. წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა თვით თ. ს. ამირეჯიბის შვილებმა, ქალებმა და ყმაწვილებმა და, გატეხილი უნდა ვსთქვათ, რომ მშვენივრად და აზრიანადაც შეასრულეს პატარა მოთამაშეებმა თავიანთი როლები. წარმოადგინეს ორი პატარა პიესა, ჟურნალ „ჯეჯილში“ დაბეჭდილ ორის მოთხრობიდგან გადმოკეთებული: „შობა ღამეს“ და „დამაცალე და ამწუთას“. პიესები კარგა მოხერხებით გადმოუკეთებია კ-ჟნა წ—ლს, რომელიც რეჟისორობდა და სწვრთნიდა პატარა მოთამაშეებს.

მაყურებლებად ამ არა-ჩვეულებრივს წარმოდგენას, (რამდენადაც ვიცით, საყმაწვილო პიესები არა გვაქვს) სულ სამი ოჯახი დაესწრო და სოფლის ბავშვები. სულ შემოვიდა 8 მან. 60 კაპ. და ორი კოდი პური. ეს ფული ჩაბარდა კნ. მ. ამირეჯიბს, რომელიც გაუნაწილებს ს. ბრეთში ხოლერით დაზარალებულთ.

სასურველია, რომ ზაფხულობით გაფანტული სოფლად ყმაწვილობა იხელმძღვანელებდეს ამ მცირედი მაგალითით და ჩიტირეკიაობის მაგიერ სასარგებლოს რამეს გააკეთებდეს. ამგვარ წარმოდგენებს, ტფილისში მოსწავლე ყმაწვილებისაგან გამართულს, ჩვენ კერძოდ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ; სხვა არა იყოს-რა, ქართულს ხომ დაისწავლიან, თორემ ზოგი ასეთი ათავებს სწავლას, რომელმაც სამშობლო მწერლობისა იმდენივე იცის, რამდენიც ჩვენ მანჯურულისა.

*** გაზ. „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ შემოსავლის კვალობაზედ გადახდა ხარჯისა ჯერ-ჯერობით არ იქმნება შემოღებულიო.

*** „Рус. Вѣд.“ იუწყება, რომ გზათა მინისტრის განკარგულებით ყველა კათოლიკე სარწმუნოების მოსამსახურენი ბრესტ-ლიტოვსკის რკინის გზისა გადაყვანილ იქმნან მოსკოვისა და სმოლენსკის რკინის გზაზედ. დღის შემდეგ ბრესტ-ლიტოვსკის რკინის გზაზედ აღარ მიიღებენ მოსამსახურედ კათოლიკებსაო.

*** სტამბოლის გაზეთები იუწყებიან, რომ სტამბოლში დიდი დეპუტაცია მოვიდა კავკასიის მთიულთა და შუამდგომლობს, რომ ოსმალეთის მთავრობამ ოსმალეთში გადასახლების ნება მისცეს, განსაკუთრებით არზრუმის მიდამოებში.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**თიანეთი** აწინდელს ყოვლად შემძლებელს მეცნიერებას, თუ ხოლერის უებარი წამალი არა, მისი მოსპობისა და გადადების ასაცდენათ მაინც საკმარისად საიმედო საშუალება აქვს ხელში. ამისი იმედით ჩვენც, არც ბარში მყოფნი და არც მთიელნი, ისეთს საზარელს ამბებს აღარ უნდა მოველოდეთ ხოლერისაგან, როგორიც ახსოვს ჩვენს ხალხს ძველის დროისას. ძველს დროში ს. შატილში (ხევსურეთში) „ჭირიანობის“ დროს ხალხს ოთხი აკლდამა აუშენებია ქვისა, რადგანაც მიწაში დამარხვა აუარებლის მკვდრებისა შეუძლებელი გამხდარა, ამ აკლდამაში ავადმყოფი თითონ გადაფორთხდებოდა და თურმე ერთი ბეწო კარებიდგან, რათა იქ დაელია სული და იმისი გვამი ველზედ ფრინველებისა და მხეცების საჭმელად არ გამხდარიყო. ასევე ყოფილა ფშავის სოფელ ინოში. მთელი სოფელი, ვისთვისაც-კი „დიდ ჭირს“ მოუსწვრია, ამოწყვეტილა. გადარჩენილან მხოლოდ შემთხვევით აქეთ იქით წასულები, რომლებსაც შინ დაბრუნება ველარ გაუბედნიათ. მიცვალებულების დასაფლავება ერთს ქალს უკისრნია, მაგრამ ბოლოს რომ ველარ აუვიდა თურმე, მკვდრების სახლებს ცეცხლი წაუკიდა და ასე დასწო თურმე მიცვალებულთა გვამები. სულ სხვა სურათს წარმოადგენდა თურმე თუშეთის სოფელი ჭირიანობის დროს. მთელი სოფელი, ვისაც-კი ჭირმა მოასწრო შიგ, გავიდა სოფლის ახლო ერთის კლდის პირასა და იქ ელოდებოდნენ სიკვდილს. მომაკვდავს აწვენდნენ თურმე კლდის ნაპირზედ და რაკი განუტევებდა სულს, გადააგორებდნენ უფსკრულში, სადაც გვანი მდინარეს მიეცემოდა, და კლდის პირას-კი გადაგორებულის ალაგს სხვა დაიჭერდა თურმე და როცა მოკვდებოდა, იმასაც ისევე გადააგორებდნენ, რადგანაც საფლავის გათხრა და დამარხვა მიცვალებულებისა არავის შეეძლო.

ვიმეორებ, დღეს ჩვენში ამისთანა ამბავი მოსალოდნელი აღარ არის, თუ ექიმების რჩევა-დარიგება და მთავრობის მოთხოვნილება ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლისთვის პირნათლად შევასრულეთ. ჩვენ ისევ ერთად-ერთი მაზრის ექიმის ანაბარასა ვართ. მთელს მაზრაში რა უნდა გააწყოს ერთად-ერთმა მკურნალმა და ერთმა ფერშალმა? აი ამ შემთხვევაში უფროა საჭირო ხალხს თითონ მაინც შაეძლოს თავისს თავის გაფრთხილება და ისე მოქცევა, როგორც გვირჩევენ ხალხის კეთილის მოსურნე მეცნიერება, მაგრამ მაგარი ესაა, რომ მეცნიერება, მისი რჩევა და ჩვენის ხალხის უმეცრება ერთობ შორი-შორს არის და პირველი მეორესთვის სრულიად მიუწდომელია. ხალხმა ან თითონ უნდა იცოდეს საჭირო ღონისძიების ხმარება და შეგნებული ჰქონდეს მისი საჭიროება, ან ახლო ჰყავდეს იმისთანა გულ-შემატკივარი მცოდნე, ექიმი იქნება, თუ არა ექიმი, რომ მისის რჩევითა და ხელმძღვანელობით შესაძლო იყოს უმეცარმა ხალხმაც იხმაროს ყოველ გვარი საშუალება ხოლერის წინააღმდეგ, როგორც ავად გახდომამდე, ისეც შემდეგ. ჩვენი ხალხი-კი თიანეთის მაზრაში ყველა ამას მოკლებულია და იქნება, თუ ხოლერა გაძლიერდა და ჩვენ ისევ ერთის ექიმის ანაბარად დავრჩით, ხელის მოწერა გავმართეთ, რომ ერთი ექიმი მაინც მოგვეწვია, ფულის მიცემა ყველამ სიამოვნებით იკისრა და ექიმის შოვნა-კი არ არის, რომ დავიქირაოთ რამდენისამე თვით.

ს. ჯილაურაში ხოლერით უკანასკნელი გუშინ გარდაიცვალა. როდესაც პირველი გარდაიცვალა, ექიმმა გასჭრა და შეამოწმა ხოლერით სიკვდილი. ხალხი სრულიად უშემწეოა მკურნალის მხრივ, თუ სახეში არ ვიქონიებთ ფერშალს, რომელსაც მოვალეობად აქვს ჭირიანი სახლები წამლებით აპკუროს...

ხალხი სოფ. ჯილაურიდგან ტყეში გაიხიზნა; სოფელში მარტო ერთი 80 წლის მოხუცი დარჩა. გახიზნულებისთვის პურის მიწოდება და მინდორში იმათის ჭირნახულის მოვლა და მომკა-მოთიბვა მახლობელ სოფლელებმა იკისრეს. ჯერ ასეა საქმე, მაგრამ თუ ერწოს სხვა სოფლებსაც მოედო ხოლერა, მაშინ-კი თქვენი მტერი ნუ იყოს ისეთს მდგომარეობაში, როგორც ისინი იქნებიან...

ხ.

---

## ორიოდე სიტყვა ქიზიყის შესახებ.

„ივერიის“ 154 ნომერში ამოვიკითხე, რომ ქიზიყში ს. მირზაანში და ზემო-მაჩხაანში სამი გახდა ავად გახდა ხოლერითაო და ერთი მათგანი გარდაიცვალაო. ამასთანავე იყო ნათქვამი, რომ სამივე შირაქის მინდორში გახდნენ ავადაო.

რადგან მე ქიზიყელი გახლავართ და მისი გარემოება მესმის, ამისთვის მსურს რამდენიმე სიტყვა ვსთქვა იმის შესახებ, თუ ქიზიყს რა უბედურება მოელის ამ ხოლერობის დროს, უკეთუ იქაური ადმინისტრაცია მხნედ და ფხიზლად არ მოიქცევა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქიზიყსაც დიდი უბედურება დაატყდება, თუ ბაქოელებისავით ლუარსაბ თათქარიძის ოცნებას მიეცემა იქაური ადმინისტრაცია. ვახსენებ ადმინისტრაციას იმიტომ რომ, ამ გაჭირვების დროს მხოლოდ მას შეუძლიან შველა. ხალხი უმეცარია. ხალხს არ ესმის, რა არის ხოლერა. არ ესმის, თუ ამ

---

სცემს ჩანგსა, იმღერის და მითი გვამხნევებს:

„ვინა სთქვა საქართველოზედ,
ეგ არის ღრმა კვდებაო...
წიწილნი წამოეზარდნენ,
მხრები აისხეს დღესაო“...

უფრო გამოცდილი მგოსანი, მუდამ ჟამს ჩვენის ავ-კარგიანობის მჩხრეკავი, განსმჭვალული ჩვენის აწინდელის უიმედო ცხოვრებით, ასე ამღერებს ჩანგს:

„გალიაში ზის მზე-ბნელი
მარტოდ-მარტოკა ის ობლად
და იქვე ჯირკვზედ მიბმული
ბაიყუში ჰყავს მეზობლად“.

ჩვენს ქვეყანას „წიწილნი“ ბევრნი ეზრდებიან, მაგრამ ვაი ის არის, რომ „წიწილებადვე“ რჩებიან და მხრებს ვერ ისხავენ. „ჯირკვზედ მიბმული ბაიყუში„ რას დაგვაკლებს, რომ გული გულობდეს და საქმე ისე არ იყოს, როგორც ვამბობ.

ჩვენი კურთხეული ქვეყანა სდუღს და გადმოდის, ყელამდის აივსო „წიწილებითა“, ანუ, უკეთ ვსთქვათ, „ბაწაწკებითა“. როდესაც დიდ ჭექა-ქუხილის შემდეგ ცაზედ ნისლები გაჰქრება; ტყვიის ფრად მოგრაგნილ ღრუბლებისაგან ცა განთავისუფლდება, მაშინ ცაზედვე აქა-იქ ხეტიალს იწყობს ხოლმე წვრილ-წვრილი ღრუბლები; ამ „ნაჭერ-ნაჭერ“ ღრუბლებს რჩებათ ეს უზარმაზარი სარბიელი — ცა; დაჰქრიან იგინი ამაყად, მოუსვენრად და შემდეგ შეუმჩნევლად ჰქრებიან. დედამიწაზედაც ასეა: ბედაურებს შემდეგ მოედანი ვირებს რჩებათ ხოლმე. ადამიანთა ცხოვრებაშიაც უკაცობის დროს სარბიელი რჩებათ კაცუნებს.

ყოველი სოფელი, ყოველი დაბა, ყოველი ქალაქი ჩვენის ქვეყნისა კაცუნებით გაიჭიკნა; მთელი ჰაერიც-კი მათით არის დატვირთული, მიკრობების ძალა მისცემიათ და სხეულს ასნეულებენ. როცა ასე წვრილამანდება ხალხი, მაშინ ამბობენ, ერი კვდებაო. ამისთანა დაწვრილმანებამ ხომ ბევრს შესანიშნავს სწავლულსაც აფიქრებინა, რომ ერიც ისევე კვდება, როგორც კერძო კაციო...

იქნება ჩემი ლაპარაკი, რომ კაცუნებით ყელამდის აივსო ჩვენი ქვეყანაო, ტყუილი ეგონოს ვისმე! ხრული მართალი გახლავთ. აბა გაიარეთ, ჩემის სიმტყუნის გულისათვის, რომელსამე სოფელში, ანუ ჩვენის დედა-ქალაქის ტფილისის ბულვარებზედ, რამდენს კაცუნას ნახავთ, რამდენს არჩილებს, ბარძიმებს, ბაგრატებს, ერეკლეებს, დურმიშხანებს ჰნახავთ! ვინ არიან ესენი? ჩვენი თანამოძმენი, ჩვენი თანამემამულენი, რომელნიც სასწავლებლის მეორე კლასამდის მისულან, შემდეგ სწავლა-განათლება ჩოხაზედ და ჯაგლაგს ცხენზედ გაუცვლიათ და დაეხირებიან უსაქმოდ და უსაგნოდ. მაინც რა არის ამ კაცუნების საქმე? აი რა: ზოგი იპარავს ღორებს, ზოგი ცხენებს, ზოგი ჟინის მოსაკლავად და უფრო ხანჯლის გასასინჯად — სჭრის, თუ არაო — კაცსა ჰკლავს და მიდის ციმბირსა შინა. ამ უკანასკნელის ათის წლის განმავლობაში ჩვენმა ცხოვრებამ ამისთანა გმირების „ტიპი“ წარმოგვიდგინა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ამისთანა „ტიპი“ ჰშვა.

რომ ტყუილის ყბედობით თავი არ შევაწყინო მკითხველს, წარვუდგენ ერთის ამ გვარის კაცუნას ცხოვრებას, რომ უფრო ნათელი აზრი შეადგინოს ახალს „ტიპზედ“.

—

ერთს გაზაფხულზედ ჩემ მეგობართან ვიყავ სტუმრად; დილით ადრე ორნივ სერზედ გავედით სასეირნოდ; სოფელი, სადაც ჩემი მეგობარი სცხოვრობს, მდებარეობს ფრონის ხეობის გასავალში; სოფელი შეფენილია სერზედ, ძირს მოურბის გიჟი მთიური მდინარე; გარემო მისი შემკობილია ბაღ-ვენახებითა და მინდორ-ველით. ამ სოფელში, როგორც თითქმის ყველგან ქართლის სოფლებში, მრავლად მოსახლეობენ თავად-აზნაურნი. ჩვენ კარგა ხანს ბოლთასა ვსცემდით სერზედ, ვსტკბებოდით მშვენიერის სურათით, რომელიც ჩვენს თვალწინ იყო გადაშლილი. ჯერ ისევ დილა იყო, რომ სოფლის დუქნიდგან რაღაც ყაყანი და კიჟინა მოგვესმა, ბოლოს კეტის ტრიალიც შევნიშნეთ.

— რაღაც ამბავია ქვემოდ, ვუთხარი მეგობარს.

— ეგ ამბავი არ ახალია, ძველია. თითქმის ყოველ დღე აგეთი კიჟინა, ჩხუბი, ხალხის ჩეხვა გამოულეველია მაგ დუქანში. ხანდახან მთელს ღამეებს არ გვაძინებენ. ღმერთმანი, ბევრჯელ აზრად მომივა ხოლმე, ავიყარო ამ ოხერ სოფლიდგან და გადავარდე სადმე, მაგრამ სად წავალ? სადაც უნდა წავიდე, ემაგისთანა „ბაწაწკებს“ ვერ ასცდები.

ამ ლაპარაკის დროს ნელ-ნელა ჩამოვეშვით სერიდგან და გავსწიეთ იქით, სადაც ხმაურობა იყო. მედუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენს ადამიანი თავის ღონის ძიებით ანუ საშუალებით თავიდგან აიცდენს, სუყველაფერი ღვთის მოვლენად მიაჩნია და ღმერთს აბრალებს ამ უბედურებას და სხვას არაფერს. აი მაგ., წარსულს ხანს ჩემი ერთი კურს დამთავრებული სემინარიელი ქიზიყში ხალხს უანბობდა ხოლერის ამბავს და სხვათა შორის განუმარტა, თუ ხოლერა რისგან ჩნდებაო. აუხსნა თვალით უჩინარ ჭიების, ბაცილების ამბავი, და დაბოლოვა იმითი, რომ ეს თვალით უჩინარი ჭიები, როდესაც ჩვენს გვამში ჩავლენ ჰაერის ანუ საჭმელ-სასმელის საშუალებით, მაშინ ადამიანის აგებულება იწამლება, იშხამეშა და კვდებაო. ამ დროს ამდგარა ერთი ქიზიყელი და უთქვამს: კაცო, რას ამბობ, ნეტავი მითხრა, გუშინ ი ბიძაშენმა ვეებართელა ჭია გადაყლაპა და კაცი არ მომკვდარა და ი რაღაცა თვალით უჩინარმა ჭიამ უნდა მოკლას ადამიანი!. აბა რა ქნას აქადამიანმა, რით შეგიძლიან ამისთანა ურწმუნო თომები დააჯერო, რომ ხოლერა მართლად ჭიებისაგანა ჩნდება!... აი ამიტომ ვახსენე ადმიადმინისტრაცია. უიმისოდ-კი, ვიმეორებ, ქიზიყს დიდი უბედურება მოელის და აი მიზეზიც:

ამ რამდენსამე წლის წინად იტალიაში საშინელი ხოლერა მძვინვარებდა და ძლიერ ბევრ ხალხსაცა ჰჟლეტდა. იქ წავიდა მეცნიერი კოხი ხოლერის გამოსაკვლევად. მივიდა ერთს ქალაქში და შენიშნა, რომ ქალაქის ერთს ნაწილში უფრო დაგაცილებით ბევრი ხალხი იხოცებოდა, ვიდრე მეორეში. დაუკვირდა, გამოიკვლია და შეიტყო ნამდვილი მიზეზი. ქალაქში ჩამოდიოდა ერთი მდინარე. ეს მდინარე ქალაქის ზემო ნაწილში ჩქარა მომდინარეობდა და ქვემო ნაწილში-კი მდორედ, თითქმის გუბესავით იდგა. რომელს ხალხსაც ზემო ნაწილიდგან დაჰქონდა წყალი სასმელად, იმას ნაკლები ზიანი ჰქონდა, ცოტანი იხოცებოდნენ, და რომელსაც ქვემო ნაწილიდგან—იქ მეტი იხოცებოდა. გასინჯა მეცნიერმა კოხმა ორივე ადგილას წყალი და რა აღმოჩნდა? სადაც ჩქარა მიდიოდა მდინარე, იქ ნაკლებად იყო ხოლერის ბაცილები და სადაც მდორედ—იქ-კი აუარებელი და მთლად მოწამლულ-მოშხამული იყო წყალი. მეცნიერმა კოხმა აუკრძალა წყლის ხმარება ქვემო ნაწილში და ხოლერამაც იკლო. სჩანს, რომ წყალს დიდი გავლენა ჰქონია ხოლერობის დროს. ამიტომაც ურჩევენ ეხლანდელი ექიმები გადადუღებულ წყლის სმას ან ჩაისას, რადგან ადუღებულს წყალში ხოლერის ბაცილები წყდება და ადამიანის სტომაქში ვეღარ ჩააღწევს ცოცხლად.

ავიღებ ახლა შირაქის მინდორს და იმის ავკარგიანობას დავხატავ შეძლების დაგვარად. შირაქის მინდორი ვეებართელაა. უშველებელი უწყო მინდორია. აქა აქვთ ქიზიყელებს კალოები და სახნავ-სათესი მინდვრები. ზაფხულობით მკა-ლეწვის დროს მთელი ქიზიყის გლეხ-კაცოია სოფლიდგან მინდორში წავა ხოლმე და იქა რჩება, ვიდრე მკა-ლეწვას არ გაათავებს. მკა-ლეწვა თავდება ქიზიყში, თუ კარგი მოსავალია, აგვისტოს უკანასკნელს რიცხვებში. დასალევი წყალი იქ არ მოიძებნება, მხოლოდ ზოგიერთ ადგიალას არის ბულაყები (ბულაყები ჭასავით ამოჭრილი მიწაა სამ-ოთხს არშინის სიმაღლეზედ, რომელშიაც რამდენისამე საათის ანუ ერთის დღის განმავლობაში წყალი გროვდება და საქონელს ასმევენ და გაჭირვების დროს ხალხიც სვამს). მთელ შირაქში წყაროს წყალი იშვიათია და სასმელად ამ ბულაყების წყალსა ხმარობენ, მეტადრე შეუძლებელი და ღარიბი ხალხი. ვინც კიდევ შეძლებულია, იმას ბოჭკით წყალი დააქვს დედოფლის წყაროდგან რვა-ცხრა ვერსის მანძილზედ და ოთხ-ხუთი დღის განმავლობაში სასმელად ამ წყალსა ჰხმარობს.

ეხლა ადვილი წარმოსადგენია, თუ ხოლერას ბინა სად უჩნდება და მერე საით გაიწევს თავის ბასრის ცელით. დღეს ხალხი შირაქისმინდორშია გაკრეფილი და ისეთს გარემოებაშია, რომ საეჭვოა ხოლერის სუსხს გადურჩეს, თუ მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია. წყალი ყოვლად უვარგისი აქვთ და მეტად მავნებელი ხოლერობის დროს. შირაქის კალოები უპატრონოდ არის დარჩენილი მოხელეებისაგან და ყველა მაწანწალა და ჩარჩი აქ შოულობს ბინას გაასაღოს თავისი დამპალ-დუმპალი საქონელი, თევზი და ხილი. ყველა ამას ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ „სიკვდილის შემდეგ სინანული გვიანღაა“. ეს საქმე რომ მარტო სოფლის მოხელეებს მიენდოს — მამასახლისებს და გზირებს, ამით არა გაკეთდება-რა; დარწმუნებული ვარ, რადგან ბევრს, ძლიერ ბევრს მათგანს არც ესმის და არც იმდენად გული შესტკივა ხალხისათვის.

არც წინამხრის მინდვრის (ალაზნის მინდვრის) მეკალოები არიან სანუგეშო მდგომარეობაში, რადგან ისინიც იმ გარემოებაში იმყოფებიან, როგორშიაც შირაქელები. უბედურება ის არის, რომ დღეს ქიზიყის ხალხი მინდვრად არის გაკრეფილი, იქ ყურის მგდებელი ნაკლებად მოეძებნებათ და მაშასადამე, ჭირიც ადვილად მიესევა უპატრონოდ დარჩენილს ხალხსა.

ქიზიყის სოფლები ხუთას-ექვსას და ზოგი მეტ კომლისაგან შესდგება. მოსახლეები ერთი ერთმანეთზედ ახლო სცხოვრობენ და სოფლებიც ერთმანეთზედ ძლიერ ახლოა. სამ სოფელს ძლიერ ადვილად შეუძლიან იყოლიონ ერთი ექიმი, თორემ ოთხ სოფელს ხომ რაღა თქმა უნდა. ამ შემთხვევაში თითოეულს კომლს, სულ ბევრი რომ ვიანგარიშოთ, შეჰხვდება წელიწადში ათი შაური და განა ათი შაური ბევრია, რომ კაცმა თავისი ოჯახში უზრუნველ ჰყოს გაჭირვების დროს?!. განა ათ შაურად ღირს, რომ რომელიმე ოჯახის წევრი სიკვდილის პრჭყალებს დააღწიოს ადამიანი?!. არც ბევრია და ადვილი შესაძლებელიც არის, მაგრამ... აქ ბევრმა წერტილმა მოგვცეს პასუხი.

ა. ს. ბენაშვილი

## წვრილი ამბავი

რამდენის წლისამ უნდა დაიწეროს ადამიანმა ჯვარი? აი, ამ საკითხის პასუხს იძლევა საფრანგეთის ცნობილის ექიმის ბერტილიონის წერილი, რომელიც იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ ამ ბოლოს დროს, როგორც ამჩნევენ, საფრანგეთის მკვიდრთა რიცხვი თანდათან მცირდება. კანონი ნებას აძლევს ჯვარის-წერისას, თუ კაცი თვრამეტის წლისაა, ხოლო ქალი თხუთმეტისა. ახალგაზდა ქალები იშვიათად თხოვდებიან ჩვიდმეტ წლისაზედ ადრე, მაგრამ ამ ხანშიაც, ექიმ ბერტილიონის აზრით, გათხოვება მეტად ადრეა, რადგან აგებულობა ყმაწვილის ქალისა ჯერ გამაგრებული არ არის, ჯერ რიგიანად არ არის წამოთქვირებული. აი კიდევ ამიტომ ისე ხშირად შევხვდებით ხოლმე ყმაწვილს ქალებს, მარდებ მოშლილ-მიმუსტებულს და სულიერად არა საღთ, იმ ყმაწვილს ქალებს, რომელნიც იძულებულნი არიან თავისის სიცოცხლის უმეტესი ნაწილი ტახტზედ წამომჯდარნი ატარონ. ამას გარდა, მეტად ახალგაზდა დედების ყმაწვილებიც ისეთის სუსტის აგებულებისანი ებადებათ, რომ ხშირად იხოცებიან. ის ყმაწვილებიც, რომელნიც დაგვიანებულ ქორწინების ნაყოფნი არიან, ასევე სუსტის აგებულებისანი ჩნდებიან და ასევე ხშირად იხოცებიან. აქედგან ექიმი ბერტილიონი დაასკვნის, რომ კარგი ვადა გათხოვებისა ყმაწვილ ქალებისათვის ოც-და-სამი წელიწადია, თუ უნდათ ჯან-საღნი იყვნენ, სამშობლოს მამისეული შვილები შესძინონ და ლამაზი, ჯანმრთელი შვილები ჰყავდეთ. რაც შეეხება კაცებს, ექ. ბერტილიონი ამბობს, რომ უფრო ხშირად იხოცებიან ის ყმაწვილი კაცები, რომელნიც ოც-და-ერთ წლისაზედ ადრე იწერენ ჯვარს. ორთა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, ერთი-ექვსად უფრო ძლიერ იხოცებიან ამ ხანში ცოლიანები უცოლოებთან შედარებითაო. ბერტილიონი იმ რჩევას იძლევა, რომ ყმაწვილ კაცებმა 22—25 წლისამ უნდა შეირთონ ცოლიო. სასტატისტიკო ცნობებით დამტკიცებულია, რომ ამ ხანში დაცოლშვილიანებულნი წელიწადში მხოლოდ 100 კვდება და უცოლ-შვილოკი—183-იო.

— გაზ. „Figaro“ იუწყება, რომ საერო განათლების მინისტრს განზრახვა აქვს რუსულის ენის სწავლება შემოიღოს პარიჟის ლიცეიებში. ამ შემოდგომიდგანვე რუსულის ენის სწავლება შემოღებული იქნება საცდელად ჯერ ბიუფონისა და ჭოლლენის ლიცეიებში და მოსწავლეთა მშობლებისაგან ნება-რთვა უკვე მიღებულია კიდეც. თუ ამ ცდამ კარგად ჩაიარა, რუსულის ენის სწავლებას ყველა სასწავლებელში შემოიღებენ და ისევე ასწავლიან, როგორც ეხლა გერმანულსა და ინგლისურს. აქამდე სლავიანურ ლიტერატურის კათედრა მხოლოდ აღმოსავლეთის ენების სასწავლებელში იყო.

— საფრანგეთის გამოჩენილს რომანების მწერალს ემილ-ზოლას ახლა სამღვდელოების ყოფა-ცხოვრებიდგან განუზრახავს რომანის დაწერა. ამ აზრით ეს შესანიშნავი მწერალი სახელ-გამოცვლილი დადის მონასტრებსა და სალოცავს ადგილებში და უმეგობრდება ბერ მონაზონებსა და მღვდლებს, რომ მათი ყოფა-მდგომარეობა უფრო უკეთ გაიგოს და უკეთ შეისწავლოს.

## გამოსადეგი ცნობანი.

კარტოფილის ყველი. საქსონიის ზოგიერთს ადგილებში აკეთებენ მეტად კარგის ღირსების კარტოფილის ყველს, რომელსაც, ვითარცა სანოვაგეს, ერთი კარგი ღირსება აქვს: წაუხდენ-გაუფუჭებლად ინახება დიდხანს, რამდენსამე წელიწადს, თუ თავ-დახურულს, მშრალს ადგილას შეინახეთ. ამ კარტოფილის ყველს მალიან ადვილად ამზადებენ. არჩევენ თეთრს კარტოფილს, ჰხარშავენ, შემდეგ ჰფცქვნიან და ჰზელენ, აცომებენ. ასე მომზადებულს კარტოფილის ცომს მისის წონის ერთს მეექვსედს ნაწილს მაწონს ურევენ, ორივეს ერთად კარგად აჰზელენ და შემდეგ თავ-დახურულს ჭურჭელში ინახავენ ოთხს-ხუთს დღეს. ეს ოთხი-ხუთი დღე რომ გაივლის, კვლავ კარგად აჰზელენ ხოლმე და ტილოს პარკში აწყობენ, რომ თუ წყალი და სისველე რამეა შიგ, დაიწუროს და კარგად გამოშრეს. ამასაც რომ მორჩებიან, კარტოფილის ყველი სრულიად მზად არის, საჭიროა მხოლოდ კასრებში ჩააწყონ, თავი მაგრა დაჰხურონ და მშრალს ადგილას შეინახონ. რამდენიმე წელიწადი შეინახება ისე, რომ სრულიად არ წახდეს და ნირიც-კი არ შეეშალოს.

ყმაწვილების ოთახების ჰაერის გამასუფთავებელი საშუალება. შეუძლო ოჯახებში მშობლები ხშირად იძულებულნი არიან ღამე, შედარებით პაწია ოთახში, რამდენიმე ყმაწვილი დააწვინონ, რის გამოც მეორე დილით ჰაერი საშინლად დაშხამული და წამხდარია. ამ მავნებელ და მაზარალებელ უხერხულობის თავიდგან ასაცილებლად დ-რი ვ. გოლმსტენი შემდეგს საშუალებას ურჩევს: ექიმის წერილით აფთიაქში იყიდეთ ფოსფორი, ჩხირებად გაკეთებული. ფრთხილად ამოიღეთ ერთი ჩხირი, დასდეთ ლამბაქზედ, რომელზედაც ცოტა წყალი უნდა ესხას, ასე რომ ჩხირი სულ არ ჩაიმალოს შიგა და ნახევარი წყალს გარეშე იყოს. ეს წყალს ზემოდ დარჩენილი ფოსფორი ბოლვას დაიწყებს, ფოსფორის სიმჟავე წყალში დაილექავს, ხოლო მთელის ოთახის ჰაერი-კი წმინდა მჟავბადით აივსება, ჰაერი გაიწმინდება. ასეთი ლამბაქია ღამე გამომდგარი (თუმცა შეიძლება დღეც გამოიდგას) უშიშარს და ძნელად მისაკარებელს ადგილს ყმაწვილების ოთახში, ჰაერს ასუფთავებს.

---

ნე თავ-გატეხილი იდგა, სისხლი გადმოსდიოდა და ხელსახოცით იწმენდდა. დუქნის დახლზედ ისხდნენ ოთხნი ჩოხოსანნი; გარშემო ღვინის მორევები ედგათ; იქ გატეხილის ნახევარ თუნგიანის ნამტვრევები ეყარა, იქ დანაჭუჭებული ჭიქა და თეფში, დახლს აქედგან რამდენიმე ახალგაზდა გლეხი იჯდა, რომელნიც „ჩოხოსნების“ ნასუფრალი გამოდიოდნენ; ესენი წუწკ ძაღლებივით იყვნენ მიჩვეულნი დუქანში, აცინებდნენ, ეოხუნჯებოდნენ ჩოხოსნებს და ესენიც ნახორხლებს არ აკლებდნენ. ჩოხოსნებს ერთს ნიშან-წყალი არ ედო ადამიანობისა. ღვინისაგან მოქანცულნი, თმა გაბურძგლულნი, თვალებ ჩაწირპლულნი, თავებს ჰქინდრავდნენ და გიჟებივით ბლაოდნენ რაღაცას.

— ეგრე გინდა... გეუბნებიან მოიტა ღვინო და შენ თავსაც იდებ... ჩვენ რომ შენისთანა ღორის ტილს თავს ვუყადრებთ, კიდეც იმიტომა.

— ჰო-და! რა არის, ედიშერავ, კნიაზები არიან, როდი უნდა გეწყინოს, უთხრა იქ მყოფმა გლეხის ბიჭმა.

— გაზაფხულია, სისხლის გამოშვება არგებს, წაილუღლუღა მთვრალმა აზნაურმა.

— ვინ არიან? ვკითხე ჩემს მეგობარს.

— ეს ბაჩაჩუყი ძველის-ძველი თავადიშვილია. მე გამიგონია მომსწრე კაცებისაგან, რომ მაგისი პაპა მეფე ერეკლეს ომებში მტრებისაგან სულ დაკემსილი იყოო. მაგათ ჰქონდათ იმისი ხმალი, რომელსაც სამოც თუმანს აფასებდნენ და ემ წუწკმა სადღაც დუქანში შეჭამა. ეს ვაჟბატონი გახლავთ დარისპან ავლიაძე, დღეს მაგის ხელობას შეადგენს ქურდ-ბაცაცობა: ღორი მოხვდება, ქათამი, ცხენი, ჯორი, ყველაფერს იპარავს, არა თაკილობს. ამას ბევრგან ჰყავს ამხანაგები. ეს მეორე დედაკაცით ვაჭრობს... ხუმრობა არ გეგონოს, ნამდვილს მოგახსენებ... მესამ ნაქურდალს ასაღებს; ეს მეოთხე ბიძაშვილის მკვლელია, ადამიანის კვლა ჩალად არ უღირს, მუდამ ხანჯალზედ უდევს ხელი. ციხეშიაც იჯდა, მაგრამ სამართალმა დამნაშავედ ვერ იცნო.

—

დარისპან დიმიტრის ძე ავლიძე შარშან გახდა სრული წლოვანი, ასე დაიწყო ჩემმა მეგობარმა: მაშასადამე სულ ოც-და-ერთის წლის ბიჭია. მაგის მამას ძე ენატრებოდა; როდესაც ეგ დაიბადა, ბუკსა ჰკრეს, მოციქული მოციქულს მისდევდა მახარობლად და მთელმა სოფელმა სცნო მისი ქვეყნად გაჩენა. ძის სიხარულით დარისპანის დედამ, პოეტისა არ იყოს, „დაჰკარგა ილაოს მსგავსი სენები“. ოჯახობას მემკვიდრე ბურჯი გაუჩნდა. არჩიეს, არჩიეს სახელი და ბოლოს პაპის სახელი დაარქვეს: პაპა შენი დარისპანი სახელოვანი კაცი იყო, მეფე ერეკლეს საყვარელი მხედარი და ამისთანა კაცის სახელს ნუ დავკარგავთ ჩვენს გვარშიო, ეუბნებოდნენ სახლის-კაცები დიმიტრის. თუმცა მღვდელი დიდს უარზედ იდგა, რომ დარისპანი წმიდანი არა ვინ ყოფილა, ვერ დავარქმევ, ჯარიმას გადამახდევინებენო, მაგრამ როგორც იყო მონათლეს ამ სახელით; მოძღვარს მაინც თავისი არ დაეშალა და მეტრიკის წიგნში დავითად ჩაეწერა. თუმცა დოკუმენტში დავითია, მაგრამ ხალხი-კი სულ დარისპანს ეძახის. დარისპანი თავის სახელოვანს პაპას ტანითაც ჩამორჩა, ჭკუითაც და კაცობითაც.

ერთობ პატარა ტანისაა დარისპანი, ამასთან დარკოლილი, ბუსუსიანი, აბუზული, როგორც ნაწვიმი ჭუკია. მხოლოდ როცა ნუნუათი შეიხურებს ხოლმე თავში სადღაც უპატრონოდ დარჩენილს ტვინს, მაშინ მოჰყვება მამლაყინწასავით ბღინძვასა და ხანჯლის ტრიალს.

სწავლის დრო რომ მოუვიდა, მამამ კეთილშობილთა სკოლაში მიაბარა; კეთილშობილთა სკოლას დღემდე ზოგიერთნი ეძახიან აწინდელს სამოქალაქო სასწავლებელს. მიაგდეს სკოლაში და მიანებეს თავი. როგორც იყო, მეორემდის მივიდა; ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა გახდა ამასობაში; ამის ტოლები მეორეში ბევრნი იყვნენ; სწავლამ საქმე გაუჭირვა დარისპანს. თავის ამხანაგებით მიჰყო ხელი ქურდობას; ამხანაგებს წიგნებს ჰპარავდა; სახლის პატრონს ძვირფასი ნივთები მოჰპარა და სულ დუქნებში გადაჭამა. ერთს მშვენიერს დილას დარისპანს თავის ამხანაგებით ქურდობის გულისათვის სასწავლებლიდგან უპანღურეს.

დატრიალდა სახლში; აქეთ ეცა, იქით ეცა; დააგირავებინა მამას ღლის ნზფუზარი და დარისპანი ასე ნაშოვნის ფულით ჩერქეზულად მოიკაზმა, გადაჯდა ერთს ჯაგლაგს ცხენზედ და დღეობებში იწყო სიარული.

კიკა.

(დასასრული იქნება)

და დიდადა სწმენდავს. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ გვარად დაწმენდილი ჭვარი მიკრობ-ბაცილებს მალიან არ უხდება და ამ გვარად ფოსფორის ჩხირი არამც თუ მარტო ჭვარსა სწმენდავს, მიკრობ-ბაცილებსაც ბოლოს უღებს და ამ გვარად ჭვარის სენ-გადამდებლობას ასუსტებს და ძალ-ღონეს უკარგავს.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

### I

გორის მაზრის სოფ. კაყაში ხოლერისაგან უზრუნველ-საყოფელად შეუდგნენ ზრუნვას ნათვიცი ვექილი გ. რეიტერი, თ-დი. ლუკა ბეგთაბეგოვი და თ-დი გ. სოლომონის ძე ბეგთაბეგოვი. თავიანთის ხარჯით მოიწვიეს ფერშალი, გაასუფთავეს სოფელი და თავისის ხარჯით უყიდეს წამლები. დღეს კაყას ჯერ ფიჩხილიც არ წამოსტკიებია, თუმცა გარეშემო ხოლერა მძვინვარებს. ნება გვიბოძეთ მადლობა ვუძღვნათ თქვენის გაზეთის შემწეობით რეიტერს და ბეგთაბეგოვებს ჩვენის მამობრიულის ზრუნვისათვის.

ვაყელები

15 აგვისტო 1892 წელს.

### II

მალიან ხშირად მომმართავენ ხოლმე ერთისა და იმავე საკითხავით, თუ რა შემოვიდა იმ წარმოდგენიდგან, რომელიც იყო გამართული 28 ივნისს დ. ცხინვალში, რადგან ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ვითომ ჩემის მეთაურობითა ყოფილიყოს ის წარმოდგენა გამართული.

ამის გამო გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ თუმცა ცოტაოდენს მონაწილეობას ვიღებდი დახმარების მხრივ, მაგრამ ჩემის თაოსნობით არა ყოფილა გამართული. ანგარიში, რაც ჩემს ხელთ იყო, მაშინვე გადავეცი, ვისიც ჯერ იყო, და თუ ანგარიშმა დაიგვიანა, მიზეზი ალბად ეს საშინელი ხოლერა იქმნებოდა, რომელიც ასე შეუბრალებლად ჰმუსრავდა ხალხს ცხინვალში. ეხლა-კი, ღვთით, სენი განელდა და იმედი გვაქვს, ანგარიშსაც იმ წარმოდგენისას აღარ დააგვიანებენ და მალე გვაცოდინებენ ყველასა.

ქეთევან ყურულისა

---

პეტერბურგის ბირჟა, 21 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,87, | 7,90 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები . | 151¼ | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235¼ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 222¼ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

---

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

**ფოთიდგ გადის:ან**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

---

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—98)



### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთა I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფვისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |



## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათეთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—6)



Malson HERMANN-LACHAPELLE, J. BOULET & C-ie, SUCC-rs

31 et 33, Rue Boinod, პარიჟი.

4 ოქროს მედალი აქვს მიღებული, 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა, ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წელს.

**ხელობად აქვს ორთქლის მაშინების კეთება.**

განიერი ნახვრად მოძრავი — ორთქლის ქვაბები, რომელსაც ბოლისათვის მიხვეულ-მოხვეული ასავალი აქვს, ორის ცილინდრით, 4-დგან 100 ცხენის ძალით.

მაღალი ნახვრად მოძრავი — 1-დგან 100 ცხენის ძალით

მოგრძო უძრავი — 1 ანუ 2 ცილინდრით, 3-დგან 0 ცხენის ძალით




ორთქლის მაშინები ელექტრონის სინათლის დასადგენად.

პრეის-კურანტები უსასყიდლოდ იგზავნება.

(3—2)



სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 22-го Августа 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.